

პირა, 11 ივნისი 1917 წ.

რედაქციის აღმაშენება:  
თფილისი, ოლქას ქუჩა, № 6.

— ფართ 20 კაპ. —

# არაპიტი

№ 24

1917

ვ ი ვ ა!

რეა  
რეა რეა რეა



ვილგელმი (გინდენბურგი) როგორ ატყობ, ახლა კი დროა იერიში  
დავიწყოთ!

გინდენბურგი. ჯერ კარგათ არ დავშმობილებულვართ. პატარა მო-  
ვიცადოთ.

# ნატარა ფელეტონი

## მოკლე ვასეპი.

— მამილო, მამილო! შეხედე აი აგერ ტყუილი მოდის! ჩქარა, ჩქარა, თორემ გაივლის.

შემომძახა ფანჯარასთან მიმღებარმა ჩემმა ექვსი წლის ვაჟმა, სანდრომ. მეც წამოვხტი, ფანჯარასთან მივიჭრ: მინდოდა გამეგო, თუ რას ეძახოდა „ტყუილს“ ჩემი ვაჟი, ვინაიდან საჭიროა ვამაზ იცოდეს შეილის შეხედულება ამა თუ იმ საგანზე.

— აბა, სად არის, გენაცვა, ტყუილი?

— აი, ას, ვერა ხედავ?

— ვერაფერს ვერ ვამჩნევ, შენმა გაზრდამ.

— აი, კაცო, აგერ არ მოდის? ვერ ხედავ რა მოკლე ფეხები აქვს?

— მერე რა ვუყოთ, რომ მოკლე ფეხები აქვს? ეს ხომ ჩემი ნაცნობი ექიმია. „ტყუილს“ რა უგავს.

სანდრო გაწითლდა. აშეარა იყო დარცხვა, თავი ჩაღუნა, მაგრამ ისევ მალე გამოერცვა და დინჯათ წარმოსთქვა.

— მაშ რათა სწერენ წიგნებში, თუ სიმართლე არ არის?

— რასა სწერენ; ბიჭო?

— რასა სწერენ და „ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო“.

მე აღარ მახსოვეს, რამდენი ხანი ვიცინე, მაგრამ, როცა გონს მოვედი, ჩემი ვაჟი ტირილისაგან თვალებ დასიებული დამხვდა. ის ერთობ თავმოყვარეა და ვერ აეტანა ჩემი გააფთრებული, თავდაუშერელი სიცილი. ისეთ უხერხულ მდგმარეობაში ჩავვარდი, როგორშიაც ფეხებისტები „მიწის სოციალიზაციის“ მიღების შემდეგ. უნდა დამეტვიდებია ბავშვი, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო რაიმე თვალსაჩინო მაგალითით ანდაზის ნამდვილი შინაარსის ახსნა-განმარტება.

— აბა რასა სტირი გენაცვა, შენ კი არა, პროფესორები სცდებიან. რა ვუყოთ მერე. აი აფინი ახლა და შემდეგ აღარ შეგცდება.

— მე ის მეგონა... მაშ რათა სწერენ! -- წაი-ბუზღუნა სანდრომ და შემირიგდა.

— სიმართლე თუ გინდა შენ არც თუ დიდი შეცორმა მოგველია. ის ექიმი მართლაც რომ განხორციელებული ტყუილია, კანონათა აქვს შემოღებული ვთ სიტყვაში ცხრა და ზოგჯერ მეტი ტყუილიც გამოურიოს, მაგრამ ანდაზა ასე მაინც არ უნდა გავიგოთ.

— მაშ როგორ?

— აი როგორ. ყველი მატყუარა კაცს კი არა აქვს მოკლე ფეხები, ზოგჯერ გრძლელ ფეხებიანიც საშინალათ სტყუიან. საქმე ის არის, რომ თოთონ ტყუილსა აქვს მოკლე ფეხები.

— აკი მოკლე ფეხები ჰქონდა იმასაც...

— ეგ სულ სხვაა. ის კაცია. მე კი გულბები ტყუილის შესახებ. ტყული სულ სხვა ცნებაა.

— რა არის?

— რა არის და კაცი არ არის, სხვა შემეცნებაა...

— რა არის შემეცნება?

— შემეცნება სხვა არის და კაცი კი სხვა.

— კაცი არ არის შემეცნება?

— კაციც ერთგვარი შემეცნება არის, მაგრამ კაცს ნამდვილი ფეხები აქვს, ტყუილს კი არა.

— მაშ რათა სწერენ, აქვსო?

— ამჟ ღმერთო ჩემი! აქვს მოკლე ფეხები, მაგრამ ნამდვილი ფეხები არა აქვს.

— მოკლე ხომ მაინც აქვს!

— არა, შვილო, შენ ვერ გაიგე. უმჯობესია მაგალითს მიემართოთ. აი აეიღოთ ეს გაზეთი. ამ გაზეთს „სახალხო ფურცელი“ ჰქონია. შიგ მარტო ფედერალისტები სწერენ. მათ ტყუილები უყვართ.

— მაშ მოკლე ფეხები ექნებათ.

— მხოლოდ ზოგიერთს. სხვები კი წვრილსა და მაღალ დონკიხოტურ ფეხებზე დგნან.

— როგორ ფეხებზე?

— დონკიხოტურ ფეხებზე.

— დონხოტურები არიან?

— არა, შვილო, ნუ გააჭირე საქმე. დონკიხოტი კაცი იყო. პო, აი ამ ფეხებისტების გაზეთში აი რასა სწერს ერთი გაფეხერალისტებული სოციალ-დემოკრატიი...

— გაროგორებული?

— გაფეხერალისტებული.

- რისთვის გაფედერალისტდა?
- იმიტომ, რომ ტყუილების წერა უყვარდა და არ დაანებდა. ახლა კი თავისუფლათ შეუძლია ფედერალისტებთან ტყუილები სწრის, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და შეუტყობნენ.
- ვინ შეუტყობნა?
- აი ჩვენ შევუტყობთ.
- ჩვენ რომ არ ვიცნობთ?
- ვის არ ვიცნობთ?
- ვისა და იმას... გაფერადისტებულს...
- ბიჭი, როგორ ვერ გაიგე. იმას კი არა აქვს მოკლე ფეხები, არამედ მის მიერ დაწერილ ტყუილს. აბა უყურე. აი აქა სწრია:

„სოციალ-დემოკრატია პირდება გლეხობას, რომ უნდა ჩამოერთოს სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო, დიდებესა კუთრეთა მიწები და გადაეცეს ოვითმმართველობებს. შემდეგ რამდენიც მოგვარიანოთ იმდენი მოხანით თქვენ მიერ დაწესებულ მცირე იჯარით“-ო.

ახლა აი აქედან აქმდე არის სულ სამი გოჯია. ხომ მოკლეა?

- კია მოკლე.
- თუ მოკლეა აი აქა სწრია:

„ამ მიწაში კაპიტალისტ შეუძლია მეტი იჯარის შიცემა, ვიდრე რომელიმე გლეხს, ამიტომ მიწაც კაპიტალისტს ერგება, გლეხი კი ისევ ძველ მდგომარეობაში აჩება“.

— მოკლე ფეხები სადა?

— როგორ თუ სადა? აი ეს გაფედერალისტებული სოციალ-დემოკრატი იქა სწრის: „მის მიერ დაწესებულ მცარე იჯარის ჩისცემს გლეხით“ და სამი გოჯის შემდეგ კი სწრის: „კაპიტალისტი მეტ იჯარის მისცემსო“. ამგვარათ ტყუილმა თავი ვერ დამალა და სამი გოჯის შემდეგ გამოხტა, რადგანაც მას მოკლე ფეხები აქვს.

— მერე სად ნაწე ფეხები?

— ფეხებს ჩვენ იმ მანძილს ვეძახით, რომელიც ტყუილის თქმითან მის გამოაშეკრიცებამდე გაივლის.

— თუ გაივლის მაშ ფეხები ჰქონია.

— გაივლის დრო და არა ტყუილი. თუ გლეხი მცირე იჯარის ფულს დაწესებულ, კაპიტალის-

ტი როგორ მისცემს მეტს? მაშასადამე ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ვერ დაიმალება.

— იმ კაცაც ხომ ჰქონდა მოკლე ფეხები...

— ეეს! შენ კიდევ შენსას ჩაციდი. ის კაცი იყო და მე კი ტყუილის შესახებ გელაპარაკები.

— ა?

შორიელი.

## X ტელი ამბები.

### პროცენც ალიზმი.

ქიზიყში სტუმრობის დროს ერთ ნადიმზე შემოგვალმდა. ღამის გასათევე ბინამდე ხუთოთოდ ვერ-სი ტალახიანი გზა გექონდა გასავლელი. ჩემი მეგობარი დაუინგბით მოითხოვდა ქეიფის შეწყვეტას და წავლას. იმან ასე დაასაბუთა თავისი მისაზრება:

— ჯერ კიდევ ცოტა სინათლეა, დროხე წა-ვიდეთ თორებ ტალახიანი გზაა და გავისერებითო.

უკანასნერელმა სიტყვამ საერთო ჩემი სიცილი გამოიწვია. ჩვენ ვერ გაგვეგო მიზეზი სიცილისა, ვიდრე ერთმა იქაურმა მეგობარმა არ განგვამარტა ადგილობრივი მნიშვნელობა ზემო აღნიშნული ბოლო სიტყვისა.

აი ახლაც. „თეატრი და ცხოვრება“-ს უკანასნერელ მე-23 ნომერში მოთავსებულია „უკანასნელი შაირი“ მეოსანი ვეფხო ფშაველასი, სადაც ის სხვათა შორის უსაყველურებს უმაღურ სატრფოს და სწრის:

„არ გინდოდა რომ მიგელო  
და უნდამი უნაწირზე  
უარი სთქვი ურცხვად და თან  
ასწითლდი და აიმრაზე.“

მე მსწავლო ფიქრი ამიღელდა,  
ფიქრს სხვა ფიქრი მოემატა  
და აფქოთლი... და შენ გეითხავ  
მიპასუხე, რისთვის, რათა?“

მნელი სათმელია, თუ რითა უპასუხებს ურცხვი სატრფო აღლოვებულ მეოსანს, მაგრამ ჩვენის აზრით მიზეზი „აქოთებისა“ უბრალო პროგრიფა-ლიზმა.

ნ ე ბ ა რ თ ვ ა .

1917

გაზე „სახალხო ფურცელში“ ასეთი ცნობა  
სწერია:

„ეგ-  
ლო. ქ. ოზურგეთში ნებართვა სთხოვა ამი-  
ერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრს  
კ. აბაშიძეს მწერლისთვის დამზადებული  
ძეგლის დადგომისა. კომისარმა აბაშიძემ  
უკვე ჰართო ნება.“

არც ერთი დიადი საქმე უმსხვერპლოთ არ  
კეთდება. აქ კი თითქო მხოლოდ თხოვნა და კო-  
მისარმა უკვე ნება მისუა ეგნატეს ძეგლის დადგო-  
მისა. „ეჭმაკის მათრახის“ ქრონიკორი სულ სხვა-  
გვარათ ასწერს ამ ცნობას.

„როდესაც კომისარმა კირი აბაშიძემ შეიტყო  
გნატე ნინოშვილისთვის ძეგლის დადგმის განზრა-  
ხვის ამბავი, მყისე იკითხა:“

— ვინ იყო კაცი იგი და რომელი პარტიისა  
შემაგალი?

მას უთხრეს, რომ ნინოშვილი მწერალია მე-  
ოთხმოცდა-ათე წლებისათვის, მან მოითხოვა ორივე  
ტომი თავისი კრიტიკული ეტიუდებისა: თვალი  
ავლ-ჩავლონ მუნ აღნუსხულ მწერალთა სიას.

— არა ჰყოფილი საქართველოში მწერალი  
ასეთი, რამეთუ არა სწერია სახელი მის ჩემთა რო-  
ტომთა შინა.

კვალად იყო მოხსენება შესახებ მწერლისა მის,  
რომ იგი ეკუთვნოდა მესამე დასა და ამიტომ არა  
ლირს იყო მოთავსებათ მწერალთა მათ შორის, რო-  
მელთა მფარველობდის კალთა კრიტიკოსისა კიტისა.

და სთქვა კრიტიკოს კომისარმან პასუხად  
ამისა:

— რაოდენ ლექს ჰქმნა მოსანმა მან, ნინო-  
შვილად წოდებულიან?

და მიუგდს მას:

— არც ერთი თავადო, რამეთუ ვაუი იგი  
არა იყო შობილი მგოსნად.

— მაშ რისთვის აღეგოს მას ძეგლი ოდეს  
მგოსანნი ჩევნი უძეგლოდა ვლიან?

ოდეს გ ნუმარტეს მას ხასიათი მწერლობისა  
ეგნატესი, ჩაფიქრდა კომისარი იგი და შემდგომად  
უშემილისა დიდისა დალად ჰყო:

— მიეცეს ნება ძეგლისა მისსა დადგომისა“.

აი, ამანაგებო, როგორ ყოფილა ნამდვილი  
ვითარება საქმისა, თუ ესეც და „სახალხო ფურ-  
ცლის“ ცნობაც ორივე მოქორილი არა. ვინ არ  
იცის, რომ რეპორტიორები ხშირათ უკეთებენ სა-  
ხელს მათ კეთილისმყოფელებს!

„ავტონომია“ თუ „ოვითმართველობა“.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ ზედმეტად სას-  
ტიკი, მაგრამ ამ ბოლო ხანებში პირტაპირ გულ-  
ჩივილობის სენზა შემიპყრო. მართალია ქართული  
ანდაზა ამბობს: „ღმერთმა ერთი რათ აცხოვნოს,  
თუ მეორე არ წასწევიდოს“, მაგრამ ხომ ყველა-  
ფერს თავისი ზომა უნდა ჰქონდეს. არ შეიძლება  
მაგალითად სულ მუდა ერთი „სწყიမიღოს“ და მე-  
ორე კი „აცხოვნოს“. ამას მე ჩენებურ ფედერა-  
ლისტებზე ვამბობ.

გული სევდითა და თვალი ცრემლით მეესება,  
როცა მათი ხანმოკლე ისტორიის უკუღმართობას  
თვალშინ დავისურათხატებ ხოლმე. განა შეიძლება  
რამოდენიმე ათეული წლის არსებობის დროს პარ-  
ტიას ერთი ბედნიერი დღე არ ენახოს და ერთი  
სასარგებლო საქმე არ გაეკეთებინოს? ახ უმაღურათ  
მოეკიდა ბედი ამ ბედშავ ხალხს.

მთელი ოცი წლის განმავლობაში ამტკიცებ-  
დენ, რომ სოციალ-დემოკრატებს სამშობლო არ  
უყავრთ, ის მხოლოდ ჩევნ გვიყენებოს. ამას მცი-  
რეოდენი გასავალი ქე ჰქონდა იმ დროს, როცა  
სიტყვა სიტყვათ რჩებოდა, მაგრამ როგორც სი-  
ტყვა საქმეზე მიღება,

დამალვა შეუძლებელია.

და მართლაც გმოირკვა, რომ სოციალ-დე-  
მოკრატებს სამშობლო ჰყავირებით ქართულათ—  
თვითმართველურათ, ხოლო ფედერალისტებს ბერ-  
ძნულათ—ავტონომიურათ (ანუ ავტომატიურათ).  
მთელი ოცი წლიდან მათი პროგრამის ქვაკუთ-  
ხედს სიტყვა „ავტონომია“ შეადგენდა და ახლა  
ასე მოულოდნელათ ეგ სიტყვაც ფეხვეუზ გამოა-  
ცალეს.

აი ამან გამოიწვია კამათი „სიტყვის“ შესახებ,  
ვინაიდან ფედერალისტების არსებობა მხოლოდ

სიტყვაზე იყო დამყარებული და არა საქმეზე. ამი-  
ტომ ვის არ აუჩიყებს გრძნობას აი ასეთი გულის  
სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვები „სახალხო ფურ-  
ცლისა“, რომლითაც მან მიმართა სოციალ-დემო-  
კრატებს (№ 879):

„პოლიტიკურ პარტიას არ შეშვენის სი-  
ტყვების შიში და მათ წინაშე ძრწოლა!“

ჩვენც გთხოვთ სოციალ დემოკრატებო! იწამეთ  
ღმერთი, იხმარეთ სიტყვა „ავტონომია“ და ისე-  
ნით ეს ბედშავი ხალხი სრული განადგურებისაგან“. .

სამართებელი.

## წერილის ნაგლეჯები

(ნაგრიშა შეადისებური)

### 1. შესხმა.

შენ ხარ ჩემი ტრფობის ბულკი,  
კანდიტერში გამომცხარი;  
შენ პური ხარ, ოეთრი პური  
ღრუბელი და ლოყა-მწვარი:  
შენ ერბო ხარ, გრძნობის ერბო,  
ვნების ცეცხლით გადამდნარი;  
შენ თაფლი ხარ საოცნებო,  
ხან ტებილი და ხან კი მწარი,  
შენ ყველი ხარ, ჰყინტი ყველი,  
სახე სველი და მწვიმარი;  
შენ კრიბუქის შაქარი ხარ  
სიტკბოებით მომლიმარი;  
შენ ღვინო ხარ, ლალის წყარო  
ტიკჭორიდან მომდინარე;  
შენ ხარ ქორფა კართოფილი  
ხან უმი და ხან შემწვარი...  
შენ ხარ საბჭო, სულის საბჭო  
ხან წყნარი და ხან მღელფარი;  
შენ ხარ გულის კომიტეტი  
და გონების კომისარი...  
შენ ხარ ჩემი ბაირალი  
და წითელი ფარჩის დროშა

კისერს მოვსტებ, თუ რომ ვინმეტ  
შენზე უუდი წამოროშა... .

### 2. მოუსვენრობა.

მაისის მზევ, საოცნებოვ,  
ინდოეთის მარგალიტო.  
ვერ ვისვენებ, რაც რომ გახდი  
ჩემი გულის ინკოგნიტო.  
მე შენს შესხმა შემკობაში  
ლამის ენა წავიყვნიტო,  
ოჳ, მაქმარე შენს გიშს ტანჯვა  
ალისფერო ჩემო გვრიტო!

მე უშენოთ მზეს ვერ ვახავ,  
ვერ ვიხილავ ღამე მთვარეს;  
მე უშენოთ ფეხს წვიმიტრევ  
თუ წავედი უცხო მხარეს;  
მე უშენოთ წყალს ვერ დავლევ,  
პირში ლუქმას ვერ ჩავიდებ;  
მე უშენოთ დაჭრილ გულზე  
მეურნავ წამალს ვერ დავიდებ..

ჰა ხომ ხედავ, სულის ღმერთო,  
რა რიგ ესტირი, რა რიგ ვეკვი,  
თავს წავიხიობ, თუ არ გახდი  
ჩემი გულის კალექტივი!

### 3. ლოდინი და იჩვი.

ორი დღეა, ჩემო მწველო,  
შენგან წერილს ველოდები;  
ორი დღეა გულზე მაწევს  
შავი სევდის ქვა-ლოდები!..  
აღარ ვიცი ვის მივარდე,  
ჯავრი ვისზე ამოვილო;  
ლამის არის ყველას ვცემო  
ყველა ტყავში ამოვილო!..  
გეველრები, რომ პასუხი  
გამოგზავნო ჩქარა, ჩქარა,  
თორემ ვფიცავ ამ ლოდინში  
გავხდო გიში მეტიარა!..  
...მაგრამ იქნებ შენი გული  
საიდუმლოთ ღიპლომატობს,  
ორმოს მითხრის ზურგის უკან,  
თითელბაზობს და მღალატობს?!

იქნებ შენი ცელქი თვალი  
წამწამს აწ სხვას უქაკუნებს,  
და შოლტივით ბროლის თითი  
სულ სხვა კარებს უკაკუნებს!.

არა, არა! გთხოვ მომწერო:  
რომ არ არის ეს მართალი,  
თორემ იქნება დაღრნა გული  
და დამიესო ორივ თვალი!

#### 4. სახოჭარკვეთილი ლოდინი.

მე არ ძალმის მეტი მოცდა,  
მე არ ძალმის მეტი თმენა  
ტანჯვის ჭინკებს გაუმართას  
ამ ჩემს გულში ცეკვა-ლხენა!  
სევდამ გული დამიცხილა,  
ცრემლმა სახე დამიღარა  
და ლოდინმა გულ საკლავმა  
ტვინში ნემსი გამიყარა!..

ჭამი ჩემთვის მთელი დღე  
და დღე-ღამე საუკუნე!  
რომელ ხეზე ჩამოვეხჩო  
თუ იმედი გამიმტყუნე!..

#### 5. ვედრება

ჩემო გრძობის კომიტეტო,  
და გონების კომისარო,  
ცრემლის ნთხევით გევედრები  
შემიბრალო, შემიყვარო!..

პოდბიჭენტა.

## III 0 3 1 ტ ე ლ ი

(ზოლოის სახელმძღვანელო წიგნიდან).

ობივატელი ძალიან გავრცელებული, ადამიანის  
მსგავსი ცხოველია. ცხოვრობს ადამიანთა შორის  
და გარეგნობით მისგან ვერც გაარჩევთ.

სამაგისტროთ ობივატელს ადგილათ გაარჩევთ  
ნამდვილ ადამიანისაგან შინაგანი თვისების მიხედვით.

სული იმივატელს პატია იქვს, მოყვითალო,  
ნაცრისფერი, ლორწოიანი და უსახო.

ჭეკუა პატიაშინ ტელა, მდვრივ ფხვიერი. სის-  
ხლი წყალწყალა-არც ცივი და არც თფილი.

ობივატელი იკვებება ყურმოკრული ამბებით:  
სჯერა ყოველივე, რასაც „ამბობენ“, „გადმოგვცე-  
მენ“, „მოგვითხობენ“.

— გაიგონეთ — ამბობენ, რომ სამხედრო მი-  
ნისტრის ბრძანება გაუცია კერძნსკი დაატუსაღეთო?

ობივატელი სდგას ერთ წუთს გაშტრებული  
თვალებით და მოწყვეტით მირბის ახალი ამბის გა-  
დასაცემათ.

— მოითმინთ, მე შემუდა, კერძნსკიმ დაატ-  
ყვევა სამხედრო მინისტრი.

— სულ ერთია. გმადლობთ. გავიქცევი და  
ცოლს ვახარებ, მდგმურსაც როგორ გაუკვირდებათ?

ობივატელს რომ ჩუმათ ყურში ჩასჩურჩულით:

— წუხელის, ღამით ვილგელმი დაუნახავთ  
ჰაეროპლანში და თან ასი ყუმბარა ჰქონდათ. .

ობივატელი გაფითრდება, მუცელს აიტენს და  
ორ სამ ღლეს ღიერაზე გადავა.

რწმენა ამივატელს. არ გააჩნია, იმის ჭეკუა  
რწმენას ეკრ იტეს, ეკრ იგუებს.

დღეს ის თამამათ უდგია გვერდში დემონსტრან-  
ტებს და ხმა მალლა მლერის — „ზურგი ვაკუოთ  
ძველ ადათ წესებს“ და ხვალ პურის მყიდველთა  
კულში სდგას და მჭერმეტყველობს ამნაირათ:

„უნდა მოგახსენოთ, რომ წინათ ამაზე უარესი  
არ ყოფილი ჩენი მდგომარეობა, თითქმის უკეთე-  
სიც იყო“. ერთი კვირის შემდეგ შეძლება ხული-  
განებსაც მიეკვდოს, მარა ერთი დიცაცხანება საქ-  
მათა, რომ სორო მონახოს!

ობივატელი ჯოგიდან გამოყენილ ხარს ჩამოჰ-  
გაეს: თუ მარტო დარჩა — იბნევა, შიში იპყრობს,  
არ იცის სად შეაფაროს თავი და უგზო უკვლოთ  
დაეხეტება. ხალხში ის გულადობს, ხმაურობს, ლა-  
პარაკოს, ხელებს იქნევს, ერთი სიტყვით სცდი-  
ლობს სხვებს ემსგავსოს.

ობივატელი სწრაფათ მრავლდება სიბნელუში,  
სინათლეში და თავისუფლების დროს მჭლევდება,  
ჰქონდა. სიკვდილის შემდეგ ობივატელი ცაში არ  
მიდის, ვინაიდან მისთვის აღილი არც ჯოჯოხეთშია  
და არც სამოთხეში.

ობივატელის გვარი მიწის გასაპოხერებლათაც  
არ ვარგა: მხოლოდ მავნე ბალას აღმოაცენებს.

თარგმანი: ა. რეგმანისა.

# უ კ რ ა ბ ი ნ ა

უკრაინა,—ეგ ფედერალისტების „სოციალიზმია“.

1906 წელში მეგრელებს დასცნოლენ: როცა დამსჯელი რაზმი მოვიდა და ხალხს ჰქითხა: „რა გინ-დათ, რასა თხოულობთო“, მეგრელებმა მიუგეს:

— ჩვენ ის გვინდა, რასაც გურულები თხოულობენო.

— ძალიან კარგი, გურულებს უკვე მისცეს რასაც თხოულობდენ და ახლა თქვენც მიირთვითო და დაუშინეს შათრახები.

ფედერალისტებიც „იმას თხოულობენ, რასაც უკრაინელები“.

უკრაინას უნდა ავტონომია, ფედერალისტებიც ითხოვენ ავტონომიას.

უკრაინელებს უნდათ ფედერაცია, ფედერალისტებიც ხომ ამისი მთხოვნელები არიან.

უკრაინა ადგნენ უკრაინულ ღივიზიებს, ფედერალისტებაც უნდათ ქართული რაზმები.

საქმე მხოლოდ იმაშია, რომ უკრაინელებს ყოველივე ეს დღესვე სურთ, ხოლო ფედერალისტები ახლავ არ ეპოტინებიან და დამფუძნებელ კრებას უდიდიან.

როდესაც აკაკი ჩხერიელმა სტეფა: ჩვენ უნდა ვებრძოლოთ უკრაინელების ასეთ შეხედულებას, ვინაიდან დღესვე იმის განხორციელება, რასაც უკრაინა ეტრფის რევოლუციონურ ძალთა გათიშვას და დასუსტებას გამოიწვევს, ფედერალისტები ყალბებებს შესდგენ, ვინაიდან ამ სიტყვებში თავისი „სოციალიზმის“ შეურაცყოფა დაინახს და „სახალხო ფურცლის“ მე 880 ნომრის მოწინავე ამ საფუძველზე ააგეს:

ამ მოწინავეში სწერია:

„აკაკი ჩხერიელი იმდენათ გაქცევთილი. მენევევიკური ცენტრალისტური სულით, რომელიც ს. დემოკრატიამ დამიკვიდრა ძველი თვითმშეცვლობელობისაგან, რომ გაცხარებულ პროტესტს უთვლის უკრაინელებს: როგორ გაბედეთ ავტონომიის და ფედერაციის სხენება, ეს ხომ ცენტრალიზმის დარღვევაა და ომსაც ემუქრება“.

ვიცი თქვენ არ დაიჯერებთ ამას და იტყვით: „შეიძლება კაცი ცენტრალიზმით გაიქანიოთ“. მაგრამ რედაქტორ როგორ შეიძლება ისე გაიქანითოს სისულელით, რომ ასეთი რამ დასწრებოს“.

მე ამას „სიყვარულით“ ვხსნი. ფედერალისტებს ისე უყვართ თავესი სოციალიზმი—უკრაინა, რომ საკმარისია იგი სხვამ ახსენოს, რომ ხასიათი წაუხდეთ.

შეყვარებული ქართველი ყოველთვის „ბრძაა“, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში თურმე „სულელიც“ შეიძლება იყოს.

უკრაინა იმათი სოციალიზმია.

ისტორიკოსი.

# გ ა მ ტ ც ა ნ ა

(ზედა — რგანისათვის)

ერთი რამა სულიერი  
მარგანეცუი მძრომელია,  
გაიძევრა და მყვლეფელი  
გლეხთა სისხლის მწოველია.


პრისტავების მეგობარი,  
უნდა, ჩარჩი, კუდა მელა,  
მექრთამე და მუხანათი,  
აგრეც იცნობს იმას ყველა.

ლაპარაკით პატიოსნობს,  
გაგაბრუებს ტებილი ენით,  
გარეგნობით ახალ-გაზრდობს  
წევრს იღებავს შავი ინით.

თუ ვერ მიხვდით, კიდევ გეტევით  
ის „ზაოდის“—ს მფლობელია  
მიდით ჰერთეთ ბუხრაშვილებს  
იქ არს ბევრი მთხრობელი.

მცნობელი.

დეპუტატი აკაკი ჩხერიმელი.



ნ. ხ. ლ. შ. ჭ. იქნაძე

აკაკი ჩხერიმელი. შარუი და პოზები სხვა და სხვა სიტყვების დროს.

## ეჭმაკი პროვინციაში.

მ უ რ დ უ ლ ი.

სიმუშენიერე ქოროხის ხეობისა კალმით არ იწერება და სხვა რამ იარაღი მე არ გამაჩნია.

„ბუმბერაზი, მწვანით შემოსილი მოები და მათ შორის ვიწრო ზოლი ან კარა მქუხარე მდინარეებისა“.

ეს მხოლოდ უბრალო სიტყვებია და სხვა არაფერი.

აკაკი ჩერნკელი აქეთ ხშირად ყოფილა, ვინაიდან აქარა მისი რაიონია, მაგრამ დროთა ვითა რებაც თავის ბეჭედს ასეამს ბუნებას და ის, რაც გუშინ, რეაქციის დროს, ციფი სიმუშენიერით იყო შემოსილი დღეს უფრო გულთბილი და მიმზიდველია.

მე გამაოცა „შიშველ ბუხართა“ სიმრავლემ და როცა გავიგე მათი განტივლების მიზეზი, გულში ჩერნი მხედრობისადმი ტკბილი გრძნობა აღმერა.

თითონ მურღული საუცხოვო ლამაზ ალაგას არის გაშენებული, მდინარე მურღულის პირათ. ეს ქარხანა სპილენძის მადნებს ამუშავებს. რა კეთილი ხალხია ეს ინგლისელები! სწორეთ ენა ვერ აწერს, რამდენი რა არ მოუწყვიათ, რამდენი სახლები და მანქენები დაუდგამთ, რამდენი გზები და ხიდები დაუკითებიათ, რამდენი ფანრები აუწყვიათ და რამდენ ჩერნებურ მუშას ამუშავებენ. თითონ კი რა ყველა ამის სამაგიროთ? მხოლოდ რაღაც სპალენძის ნაკრები რამდენიმე ათას ფუთობით.

ჩერნე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ამ უზარმაზირი ქარხნის დირექტორმა მოახდინა. ის ჰეშმარიტი ინგლისელია: დინჯი, თაგზიანი, აუღელვებელი, ხმელი და მაღალი. ის ლაპარაკობს თითქმის ყველა ეროვნობულსა და იდგილობრივ ენგბზე, გარდა ფრანგულისა, ნემეცურისა, იტალიანურისა, რუსულისა, თათრულისა, პოლონურისა, ქართულისა, მეგრულისა, სომხურისა და აფხაზურისა.

მაშინ როდესაც აკაკი ჩერნიელი ქარხნის მუშათა წრეში აღზნებულ სიტყვებს ამბობდა თანამედროვე რევოლუციონური მომენტის შესახებ, მე პატივცემული დირექტორის ხელმძღვანელობით ვათვალიერებდი ქარხანას, რისთვისაც ამ შორე



მანძლიდან ვუძღვნი მას გულწრფელ მადლობას ინგლისურ ენაზე.

უკვე დამის ბინდი ჩამოწვა მურღულის ხეობაში, როცა მე (და ჩემთბ ერთად აკაკი ჩერნკელი) გამოვეთხოვ ქარხნის მუშებს. მათ უნდოდათ ჩემთვის სიტყვით მოემართათ, მაგრამ დაავიწყდათ და ვინაიდან დაყოვნება ალარ შეიძლებოდა გამოვემგზავრეთ ბათუმისაკენ.

უკანასკნელი დღე ბათუმში.

უკანასკნელი დღე ბათუმში ყოფნისა ასე გავინაწილეთ: მე უნდა წავთრეულოყავ საღარბაზოდ თანამშრომლებსა ჩემ მეგობრებთან, ხოლო აკაკი ჩერნკელი წაბრძანებულიყო ჯერ აქარელთა კრებაზე, შემდეგ მუშათა დეპუტატების საბჭოს კრებაზე; იქიდან სალდათთა დეპუტატების საბჭოში გადაერა, ხოლო ამის შემდეგ დაწყრებოდა პარტიულ თანამოაზრეთა კრებას.

პირველ ყოვლისა მე ალექსანდრე ბლიკვაძე

შოვინახულე. მთელ საჯოჯოხეთოს ეგონა, როგორც უკვე განესცენაო. სრული სიცრუეა. ასე ჯანსაღათ და მხიარულათ ის მე ჯერ არ მინახავს. ის იავანში იწვა პირალმა და თავზე გაზეთი „სახალხო უურცლელი“ ეფინა ბუჭებისაგან თავის დასაფარავათ. ეს ახალი დანიშნულებაა ამ გაზეთისა და მისი აღმოჩენა ჩვენს თანამშრომელს ეკუთვნის. მე მყისვე აქადეკაზეთი და ფრთხილად გამოვალვიძე ამხანაგი.

ხანგრძლივი მუსიცის შემდეგ გამოირკვა, როგორც ბლიკვაძე შოლლოდ ძალებს იქრებს, „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე გამოსალაშერებლათ, რა საც გულის ფანცქალით უნდა მოელოდეს ყოველი მკითხველი. როდის იქნება ეს მეორეთ მოსვლა, არავინ არ იცის ისევე, როგორც არავინ იცის როდის იქნება დამტურნებელი ქრება რუსეთისა.

ამ იმედით დავბრუნდი მე ალ. ბლიკვაძის სადგომიდან და ჩემს სიხარულს კვალად სიხარული მიემატა, როდესაც გზათ გადავეყარე ძვირფას ამხანავსა და შევობარს გრიგოლ სოლოროვს. მე მის შეხედრას მოუთმენლად მოველოდი, ვინაიდან ქალაქის საქმეებში ერთობ გარკვეულია და ესეც არ



ბედმა გამიღიმა. თეითმართველობის დარბაზში აჭარელთა კრება ჯერ კიდევ არ გათავებულიყო. აუარებელი ხალხი გულმოდვინეთ უსმენდა აკავი ჩენკველს.

აი კრების თავმჯდომარე, იგივე თავი ბათუმის ქალაქისა, პატრიციული ევ. კრინიცევი.



იყოს იგი ხელმძღვანელობს ბათუმის ერთად ერთ გაზეთს. ხანგრძლივი მუსიცის შემდეგ მივაღწიეთ ქალაქის სამმართველოს, სადაც მეგულვებოდა შეორე ჩემი მეგობარი და სიყრმის თანამგზავრი ამხანავი ნიკო აღნიაშვილი.




იქვე შორი ახლოს ზის ცნობილი საზოგადო



მოლგაწე, ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრი ბ-ნი კობახიძე.

აქვე ზის ჩვენი იუმორის მათ-მთავარი და უწარჩინებულების წარმომადგენელი საყვარელი მწერალი დავით კლდიაშვილი.



მე უცემ ვიძვრე კრანდაში და ვცდილობ ყველა მათგანი ჩავიხატო ჩემს რვეულში. იმას აღარ მივსდევ ჰგავს, თუ აღარა ჰგავს, ვინაიდან დრო აღარ არის, სადაცა კრება გათავდება და ხალხი დაიშლება.

აი იწყებს მშვენიერ სიტყვას ერთი აჭარელ თაგანი და მე ვცდილობ ოტნავ მაინც გაღმაცვსცე მისი სახება ჩვენს მკითხველებს. ლაპარაკობს იგი ხალხის გასაჭირებე, უზომო შიმშილობასა და სიღარიბეზე. კრება ღილის გულმოდგინებით უსმენს მას.

აკაკი ჩხენკელი ერთი კრებიდან მეორეზე გარდაიცალა, მე კი წავედი ჩემი ფეხმოტიხილი მეგვიბრის სანახავათ. ის სახლში დამიხვდა. უნებლივი ვინატრე: ნეტი ყველა ჩემს მეგობარს ფეხს მოტეხილი ჰქონდეს მეთქი და ეს ნატერა გამოიწვია იმ გარემოებაზ, რომ თუმცა რამოდენიმეჯერ მივაკითხე ზოგიერთ მათგანს, მაგრამ ამაოდ, არასოდეს სახლში არ დამიხვდენ.

ასე დამთავრდა უკანასკნელი დღე ჩემი ბათუმში ყოფილისა. მეორე დილით მე უკვე თფილისისენ მოვქროლი. მატარებელი ხალხი ძლიერ ცოტა იყო. ჩემი აზრით თუ ვისმე ქუთაისიდან თფილისში წამოსვლა უნდა, ის ჯერ ბათუმში უნდა ჩავიდეს, იქ იშვინოს ადგილი და წარვიდეს თფილისისაკენ.

(შემდეგი იქნება)

ეშმაკი.

## ქ უ თ ა ი ს ი

(მამული შვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოთქმული ხილება).

დღემდის, ქალებო, რაც სიზმარშიც იცნებით ჩვენ ვერ წარმოგვედგინა, შემოგვწყრა ღმერთი, და აჯანყება ჩვენს ტურთა ერსაც წარმოევლინა. ეს აჯანყება, ქალ-ბატონებო, არ გაეს ძეველებურს, მამული შვილურს, და ამისათვის თქვენ მოგიწვიეთ, უშველოთ რამე ამ საშიშარს წყლულს. ხედავთ რუსეთის რევოლუციას ბატონ პატრონი ქუჩა გაუხდა? ქართველ ხალხშიც ნიშნები მოსჩანს, ქუჩა ბანებლობს, სხვა კი გაუქმდა. და დროზე უნდა მივიღოთ ზომა, არ შემოიჭრან ჩვენსა უბანში, თორემ თუ ძალა ხელში ჩაიგდეს

გავიჭირდება გამოსვლა კარში.  
გახსოვთ კრებაზე, ნეტარ დროისა,  
რომ შემოჰყარეს „ქუჩის ქალები“?  
თუ მაშინ შევძლეთ, ეგ მხოლოდ ბრძოლით  
დღესაც ვაჩვენოთ ჩვენი ძალები.  
მე თქვენ, ქალებო, მისვეს მოგმართავი  
(და გამართლდება მწამს იმედები,)  
რომ ჩვენი ტანჯულ ერის მარადის  
დამცველიც იყვათ და თან დედები.  
სასწაულებით ჩვენი სამშობლო  
არა ერთგზობის გადარჩენილი,  
მტერი უძლევი დაუძლევია,  
და საქართველო კვლავ აღდგნილა.  
და ჲა ის ძალა, რომელიც მუდამ  
ფარაგათ ედგა ჩვენს ტანჯულ ერსა,  
გჯეროდეთ, აწიც აღარ გასწირავს  
და დამარტებს შემოქრილ მტერსა.  
გუშინ დეპეშამ სამწუხაროთა,  
თუმც დამარტებს ერთი გვაგება,  
აღარ გვყავს კ—ა ერის ლიდება,  
მაგრამ რევილია ბრძოლის წაგება.  
დამარტება, ხომ გავეთილა,  
მუდამ წინ ახლავს გამარჯვებასა,  
მაშ ბრძოლა უფრო შეუპოვარი,  
მტრებს აუტირებთ მჯერა დედასა!  
ჩვენ უნდობლობას შეჩვეული ვართ  
და შავი კენჯით გვართობს ქართველი,  
მეთაურობას მაინც ვერ დავსომობთ,  
ჩვენ უნდა ვიქნეთ ქვეყნის მმართველნი:  
აქ დავათავებ და მოგიწოდებთ  
აამოძრაოთ მთელი ძალები,  
შეირაღდით ხმალ კაპარტითა,  
გამოგადებათ ჩანგალ დანები.  
და ერთ არმით შეერთებულნი  
ვეცემ სოციალ-დემოკრატიას,  
წავლევთ, მოვსპოთ, ნულარ დავინდობთ,  
ერის სასირტო „ქუჩის პარტიას“.  
თავ დაცვა დღემდის საქმაო იყო,  
აწ საჭიროა თვითონ დავესხათ  
კაბინეტები უნდა დავტოვოთ  
ქუჩა გავხადოთ სისხლით სარეცხათ..  
მაშ მჯერა, მჯერა ქართველ ქალებო,  
რომ გამართლებთ ჩემს აზრებს ფიქრებს.

და გაათვა... გრძნობაზე მოდის,  
მაგრამ მას კვალიად რაღაც აფითრებს!..  
მიმოიხედა არავინ მოსჩანს!  
ყველა წასულია თავიანთ სახლში.  
ქუდ მოგლეჯილი, ყვირილ ღრიალით,  
ქალთა სარდალი გამოჩბის კარში!

სარანა

## მორცევი მოწავე

და

## ურცევი მასტავლებელი

„ერთ იმერელ ქალს წერა-კითხვას ვას-  
წავლილიდა.

— აბა ეს სიტყვა წაიკითხე—ვეუბნები მე.  
— ი-ხ-ე-ი. ამოიკითხა მან მარტულობით  
და უცებ შეაერთა კიდევაც და წარმოსთ-  
ქვა „კვატა“.

— რას ამბობ ქალი! სადა სწერია აქ  
კვატა? იგი კიდევ კითხულობს და ისევ  
„კვატა“ გამოუდის. ავენო, გავტრაზი,  
მზადა ვარ გავგლიჯო იგი ასეთი უნი-  
კობისათვის...

(სახალხო ფურცელი № 880, ფერეთ.  
დალაში).

რამდენათ შეეფერებოდა ფედერალისტების და-  
ლაქს მასწავლებლობა ეს მასწავლებელთა კაშირის  
საბჭოსთვის მიმინდებია გამოსარკვევათ. ყოველ შემ-  
თხვევაში ის ჯერ კიდევ ახალგაზღვობისას ერთობ  
მხურვალე, მრასხნე და მგლეჯელი ტექსტერამენტის  
პიროვნება ყოფილა. როდესაც იმერლის გოგონაშ  
სიტყვით ფედერალისტ-რი „ი-ხ-ე-ი“ ამოიკითხა დ  
სურათზე კი პატარა „კვატა“ დაინახა, ზეპირ ვა-  
მოთქმაში სურათს თავისებური სახელი უწოდა.  
მართალია აქ დანაშაულობაც და უნიკობაც ვანუ-  
ზომელია, მაგრამ ჰედაგოგიას თუ მივხედავთ ამის-  
თვის მასწავლებელი, (თუნდა იგი დალაქსი იყოს)  
არ უნდა აეთოს, გულის სიბრაზეც უნდა დაიკუ-  
ხოს და თუ ვინიცობაა ეს ვერ შესძლო ბაჟშემ-  
ბის გაგლეჯაზე ყოველ შემთხვევაში ხელი აიღოს.  
მართლაც წარმოიდგინეთ; ის ანეგლოტი „კვა-

წას“ შესახებ მე გამიგონია სულ ცოტა ვსთქვათ 300 – 400 მასწავლებლისაგან; მართალია ყველანი „დალაქები“ არა ყოფილიან, მაგრამ მათში ბევრი ერთი ნალბანდი და მეტექმეც. თითეული მათგანი ამბობდა, რომ მას შეემთხვა ასეთი ამბავი იმერქლ ბავშვთან (განურჩევლათ სქესისა), შეემთხვა არა ერთსა და ორთან. ერთმა მასწავლებელმა მითხრა: მთელ კლასს ვაკითხებდი ერთად. და წაკითხვით თუმცა „ი-ტ-ვ-ი“ წაიკითხეს, მაგრამ ზეპირათ ცვე, ლამ „კვატა“ დაიძახო. მე ამას ტყვილათ კი არა ვლაპარაკობ. მე მაშინებს იმისი წარმოდგენა, თუ რა იქნებოდა ყველა მასწავლებელი რომ ჯერ „ან-თებულიყო“, შეძლევ „გაბრაზებულიყო“ და ბოლოს „დაეგლიჯა“ ბავშვები? თუ მთელი იმერქლი არა, ის ნაწილი, საღაც იხვს „კვატას“ ეძახიან მაინც ამოულეტილი იქნებოდა.

აი ასე საშიშია „დალაქი“ მასწავლებლათ.

მაგრამ „დალაქი“ არც თუ ფელეტონისტათ ყოფილა დიდი დოკუმენტი. თუ იმერქლის გოგოს მასწავლებლათ ცოტაო თუ ბევრათ შესაწყნარებელი იყო იგი, ახლა, როცა სოც. დემ. მეთაურებს ჭკუას აქტივლის, თქვენ თითონ წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში იქნება.

„განა არ იცის დეპ. აკაკი ჩხერიძელმა, რომ ცეტონომია ითარგმნება რუსულად სამოუბრავლენიეთ და ქართულად კი თვითმმართველობად! იცის მაგრამ ის ხომ სოციალ-დემოკრატია და ივტონომია კი პატაში სოც. ფედერალისტებმა შემოიღეს“.

აი ეს ბ-ზი დალაქის ნახელავია და როგორც ხედავთ ჩინებულათ პარსავს. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ვერ გაიგებს კაცი, თუ რას უსაყველურებს ავტორი აკაკი ჩხერიძელს. თუ მართლაც სიტყვა „ავტონომია“! რომელსაც მსხვერპლათ შეეწირენ ფედერალისტები, ქართულად „თვითმმართველობად“ ითარგმნება და თუ სოც. დემოკრატები თვითმმართველობას მოითხოვენ, მაშინ მოთხოვნილების შესახებ დავა აღარ შეიძლება. მაშასადამე დავა ყოფილა იმის შესახებ, თუ რომელი ენა სჯობია, იმაროს ქართველმა ხალხმა:

სოციალ-დემოკრატიული ქართული თვითმმართველობა, თუ სოციალ-ფედერალისტური ბერძნული ავტონომია.

ფედერალისტები ყოველთვის უსაყველურებდენ სოც. დემოკრატებს ქართული ენის აბუჩათ აღდებას, რასაც აშეარად ამტკიცებს აი ეს პატარა მაგალითუ.

გაიხედავ სწერია „ავტონომია“ სოც. დემოკრატები კი კითხულობენ „თვითმმართველობაო“ სწერს ფედერალისტების „დალაქი“ და წარმოიდგნეთ არც „ანთებულა“ არც „გაბრაზებულა“ და არც „გასავლეჯათ“ მიგარდნია მათ.

ესეც კარგე ნიშანია ფედერალისტური განვითარებისათვის.

კოლო.

## საქუთაისო

(ს. ფ. პ. პროლეტარიული.)

ათი ათასჯერ რომ უწიროთ ეკლესიაში, ასი ათასჯერ, რომ ულოცოთ სინაგოგაში, ამ ჩვენ თავადგებს ვერასოდეს ვერ დააჯერებთ, რომ ბუღაბს არა აზრის მზადესი იმათ გოგრაში. თავისუფლება განა მისთვის სანატრელია, რომ გრძნობას აყყნეთ, არ გავსაზღვროთ მისი თარები?

თავისუფლებას განა მისთვის მისწვდა ერთა, რომ აზრი წმინდა და გონება ჩავკლათ ყანწებში? თავისუფლება!.. მაგრამ კარა, მეც საქმე ვნახე, მათ, ვისაც არ აქვს, დაკარგვია კაცური სახე, დღეს სახარების კითხვა მათთვის არის გვანი. მთელი ცხოვრება უსაქმური, და ხეტიალი ბალის კიდეზე, ბალახვანში, ფერმა, „სლაბოლეკა“, ეტოს ვერ იპონი, რომ გინდოდეს, ოხერ ტიალი, ღვინოც არ არის, იმათვინ კი რომი და „ოტკა.“ თუ რამ გააჩნდათ, მაღლობა ღმერთს, გაუყიდითა, დღეს ისე დაგლენ, მარტო მსუბუქ ჯიბის ამარა, თავიც არა სწუხს, ქვეყნის საქმე ფეხზე ჰეიდია ბინისოდის კველის სახეში ყავს თითო თამარა.

მაგრამ რას ვეძებ, საქმე ამით რომ თავდებოდეს და ეს ნიმუში ჩვენი წარსულ საქებ დროისა, მხოლოდ თავისას სჭამდენ, სხვას კი არა ნებობდეს

და არ ხდებოდნენ მისხვერპლი მათი დალალობისა! ეხლაც ვერ ნახავთ ისეთ ადგილს სამმარტველოსა სადაც არ იყო თითო კაცი ჩისაფრებული და ვით ობობა უცდის გლეხსა გასამრჯელოსა, ააწაპნის და გაუდგება გახარებული. მე ჯერ არ ვიცა ვიდრე გასტანს მზგავსი წუთები, როს შეჩერდება „ეს ქვეყანა ფეხზე მკიდია“ მაგრამ ის ხალხი ვინც დალეჭა რკინის ხუნდები, ამათაც მოსპობსა.. კარა, თმენა ერთობ დიდია.

სატანა.

\* \* \*

პეტროვერალით ცნობა ჰქონდა  
მემკვიდრეთ გლოვის ხმაზედა,  
რომ ოც და შვიდ თებერვალისა,  
ღამის თორმეტ საათზედა,  
მუცულ კუჭის სიგანიერით  
მიღწეული კოტრობამდე  
უუცრადა გარდა კვლილა,  
ბიუროერატ მთავრობაძე.  
ბევრსა გული აუზუყდა  
ცხარე ცოტმლით იბანება,  
მკვდრის სული, რომ შეავედონ,  
ხშირად კრება იმართება.  
პანაშვიდებს მოუხშირეს,  
კუბოც მტკიცე უშიშადდება,  
სამარესაც ღრმად უთხრიან,  
თავის ნებით ვერ ადგება.  
ვაიმე, ჩვენო მთავრობაძე!  
შიშს მგვრის შენი ძველი ძალა,  
რა სიკვდილმა გაგიმეტა,  
ეს დევგმირი რამ მოგშალა?  
მთელ რუსეთსა აძრუნებდი,  
გალესილი გქონდა დანა,  
ეხლა როგორ გაგიმეტოთ,  
გრგალობოთ სულთათანა?  
უდოვოთ, რომ დაგვაობლე,  
ვინ გვეყოლის მაგიერი,  
ციხეებში ვინ დაალპოს,  
მშრომელ ხალხის მებრძოლ მხსნელი,

სიმართლის მთქმელს ვინ შეახოს,  
სასიკვდილოთ ბილწი ხელი,  
წასკლა შენი, აღარ მოსკლა,  
უკან წყალი, წინ მეწყერი.  
მფარველობას ვინ გაგვიწევს,  
რომ თან მიგყვას პოლიცია,  
ხალხის მებრძოლოთ ვინ მოუწყოს,  
ციმბირისკენ ექსკურსია,  
მათრახებით ვინ დააცხროს,  
ვინც გაბედოს სიტყვა „მშია“  
საჭირო აზრს ვინ ამოჩხრევს,  
დასაბეჭდავ ნაწერშია.  
სიტყვა ქრთამი გაკოტრდება,  
რომ გიყვარდა შეილსავითს,  
სხვა და სხვა ხალხთ სიყვარულსა,  
მეტობლებს ვინ ჩაგონებს,  
არ იცხოვრონ ძმასავითა,  
ან, ვინ დასწვავს დაბა ქალაქს,  
ვის აქვს გული ქვასივითა.  
მთავრობაძის დიდსა ღვაწლსა,  
ვერ ვინ გაიზიარებსა,  
ვინ დახურავს სასწავლებლებს,  
და სახალხო თეატრებსა,  
გაფიცულ მუშებს ვინ დახვრეტს,  
რომ ერთს ტყვია არ იცდესა,  
აწ, ვინ შესძლებს იმ სიკეთეს,  
რაც შეეძლო მის ბილწ ხელსა.  
სიკვდილმა მთარბაძისამ,  
დიდათ დაგვწვა ყველას გული,  
ის იმედი გვასულდგმულებს,  
შვილი დარჩა მას ერთგული,  
ხულიგან მთავრობაძის ძე  
მამის სჯულზე განათლული,  
მას მამისა სიცოცხლეში  
აშინებდა გაზაფხული.

დანიშნულ დღეს მემკვიდრენი  
შეკრბებიან კუბოსთანა,  
მცმკვიდრეობის აღდგენას,  
ეცლებიან მამისგანა,  
შემთხვევითა ვისარგებლო,  
არ გაუშვათ ხელიდგანა,  
და სამაგიერო მიუზღოთ,  
რაც მის მამამ მოგვიტანა.

ალექსანდრე კვაჭაძე.

# „ე რ თ მ გ ს“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი ღის როგორც თფილისი, ისე პროცეციაში მთალი ზღით 15 მარტი, ნახევარი ზღით 8 მ.  
სა მ ი თ ვ ი თ 4 მ ა ნ 20 კ ა პ . , ე რ თ ი თ 1 მ ა ნ 40 კ ა პ

გაქცეთის ფასი ხელის მოწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისათ არავის გაეგზავნება  
ფოსტით ხელის მოწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თიფლის, პორტავი  
აშიკ ქ 199, ვლასი მალაკიევიჩ ბოხოძე.

თფილისის ხელის მოწერლებმა ფული უნდა შეიტნონ კანტორა „განათლებაში“ ოლობ. ქუჩა № 6.

ყოველ-პირეული იუმორისტიული გამოცემა



— მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის —

ეურნალის ფასი: 12 თვით 9 მ. —  
6 თვით 5 მ. — კ.  
3 თვით 2 მ. 50 კ.  
1 თვით — 90 კ.

ეჭმაკის მათრახში დაიბეჭდება მ.ხ თ ლ თ დ იუმორის-  
ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები,  
ზღაპრები, არაები, შარადები, გამოცანები,  
ნაკვერცხებიდა სხვა.

სურათის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ე ჟ მ ა კ ი,  
ხოლო გამოცემის სამხეს კანტორა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

რედაქცია სოხოეს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მოწერლებს რომ ჩასალები და  
ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ თიფლის, С. Р. Тавартиლадзе, Ольгинская, 6  
 поч. ящ. № 96.

## სასტიკი სასჯელი.



**ულმობელი მამა.** შენ კიდევ არ მოიშალე, შე საძაგელო, ხომ? მაშ კარგი, იo ახლა დაჯექი და იქითხე აი ეს წიგნი.  
**ბაგშვი.** აღარ ვიზამ... აღარ...  
**მამა.** არა, არა, გეყო ჩაც გითმინე. დაჯექი...